№ 1/1/14 28.02 2022

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „ევროპულ სკოლაში“ მედიაციის სტანდარტული გეგმის დამტკიცების შესახებ

შპს „ევროპული სკოლის“ წესდების მე-8 მუხლის და შპს „ევროპული სკოლის“ დირექტორის 2022 წლის 10 თებერვლის N1/1/10 ბრძანებით დამტკიცებული „შპს „ევროპულ სკოლაში“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების“ 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული სახით დამტკიცდეს შპს „ევროპულ სკოლაში“ მედიაციის სტანდარტული გეგმა.
2. წინამდებარე ბრძანების სკოლის თანამშრომელთათვის გაცნობა დაევალოს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსს.
3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

GEORGIA "EUROPEAN SCHOOL" Ltd 205172917

სოფიო ბაზაძე
დირექტორი
შპს „ევროპული სკოლა“

დანართი
დამტკიცებულის შპს „ევროპული სკოლის“
დირექტორის 2022 წლის --28--- თებერვლის
N--1/1/14-- ბრძანებით

შპს „ევროპულ სკოლაში“ მედიაციის სტანდარტული გეგმა

წინამდებარე მედიაციის სტანდარტული გეგმა (შემდგომში - მედიაციის გეგმა) შემუშავებულია შპს „ევროპული სკოლის“ დირექტორის 2022 წლის 10 თებერვლის N1/1/10 ბრძანებით დამტკიცებული „შპს „ევროპულ სკოლაში“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების“ 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

შპს „ევროპული სკოლა“ (შემდგომში - სკოლა) ვალდებულია სკოლის მოსწავლეებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში უზრუნველყოს დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის მედიაცია (მოლაპარაკების წარმოება), მათი კანონიერი წარმომადგენლების, სკოლის უსაფრთხოების სამსახურის/სკოლის ფსიქოლოგის (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) ჩართულობით.

სკოლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების ეფექტურად განხორციელების მიზნით, სკოლამ უზრუნველყო წინამდებარე მედიაციის გეგმის შემუშავება.

სკოლის მოსწავლეებს შორის ისეთი კონფლიქტური სიტუაციები ან მძიმე ინციდენტები, როემლებიც შეიცავს ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფას, ქურდობას, ვანდალიზმს ან სხვა ქცევებს, რომელიც არღვევს სკოლაში წესრიგს და კეთილდღეობას, გავლენას ახდენს არამხოლოდ უშუალოდ ამ ინციდენტში მონაწილე პირებზე, არამედ სხვა მოსწავლეებზე, მშობლებზე, სკოლის წარმომადგენლებზე და შესაძლებელია გავლენა მოახდინოს მთლიანად სკოლის იმიჯზეც. ხშირ შემთხვევაში იმ მოსწავლის მიმართ, რომელიც ინციდენტის მაპროვოცირებელია, გამოიყენება გარკვეული სანქციები, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, ის ვერ იაზრებს მისი ქცევის შედეგების შესახებ სხვადასხვა ასპექტებს, კერძოდ: რა ზიანი მიაყენა ინციდენტში მონაწილე სხვა პირს/პირებს, არ იღებს პასუხისმგებლობას ამ პირის ან მთლიანად სკოლის მიმართ და სხვა. სწორედ სასკოლო მედიაციის პროცესი, კონფლიქტში მონაწილე მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ერთად მოძებნონ გამოსავალი და ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი გრძნობები, აზრები და საჭიროებები.

სასკოლო მედიაცია ეს არის აღდგენითი პროცესი, რომელშიც მონაწილეობას იღებს კონფლიქტში ან მძიმე ინციდენტში მონაწილე ყველა პირი. ისინი ერთად იღებენ გადაწყვეტილებას მომხდარით მიყენებული ზიანის აღსადგენად. ზიანი შესაძლებელია იყოს როგორც მატერიალური, ასევე ნდობის, უსაფრთხოების ან კეთილდღეობის დაკარგვა. სასკოლო მედიაციის ფარგლებში გამართული შეხვედრის მიზანია კონფლიქტის მონაწილეებმა ისაუბრონ მომხდარის შესახებ და ერთად მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რა სჭირდებათ იმავე კლასში ან სკოლაში მშვიდობიანად თანაარსებობისთვის. აღდგენითი პროცესი არ გულისხმობს კონფლიქტამდე ან მომხდარ ინციდენტამდე არსებული ურთიერთობის აღდგენას, არამედ მისი მიზანია ზიანის მაქსიმალურად შემცირება და მომავალში კონფლიქტის პრევენცია.

მედიაციის პროცესის ამოცანაა ინციდენტი არ იყოს სხვა მოსწავლეებისთვის მაპროვოცირებელი ან პირიქით მატრამვირებელი და მოხდეს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება.

რა შეიძლება იყოს სასკოლო მედიაციის დაწყების საფუძველი:

- როდესაც მოსწავლეებს შორის კონფლიქტური სიტუაციის გართულება არის გარდაუვალი, მაგრამ არ არის დანაშაულის ნიშნები;
- ქცევა, რომელიც საფრთხეს უქმნის მასში მონაწილე თუნდაც ერთ მოსწავლეს;
- სიტუაცია კრიზისულია, რაც საფრთხეს უქმნის კონფლიქტში მონაწილე ყველა პირის ფსიქოლოგიურ ან სოციალურ ფუნქციონირებას;
- თუ მოსწავლე გადამისამართდა სხვა უწყებაში, (მაგ შსს) დანაშაულებრივი ნიშნების გამო. თუმცა მაინც რჩება მედიაციის პროცესის წარმართვის საშუალება.

სკოლის მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის წარმომადგენელი/წარმომადგენლები - სკოლის ფსიქოლოგ(ებ)ი (მედიატორი) აღდგენითი შეხვედრისთვის ამზადებს თითოეულ მონაწილეს და კოორდინაციას უწევს შეხვედრას.

მედიაციის პროცესის დროს მონაწილეებს საშუალება ეძლევათ ისაუბრონ შედეგებზე, რომელიც მოყვა კონფლიქტს/ინციდენტს, ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი გრძნობები და აზრები მომხდართან დაკავშირებით, დასვან კითხვები და გამოხატონ ის თუ რა სჭირდებათ და რას ელიან ზიანის აღდგენისთვის.

მედიაციის პროცესში მონაწილე პირი შესაძლებელია იყოს:

1. უშუალოდ კონფლიქტში/ ინციდენტში მონაწილე პირები და თითოეული მათგანის მხარდამჭერები (მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ან ნებისმიერი სხვა უფროსი ადამიანი, რომლის დასწრებაც სურს კონფლიქტში მონაწილე მოსწავლეს - ეს შეიძლება იყოს ბიძა, დეიდა ან სხვა პირი).
2. ჯგუფის გაფართოება შესაძლებელია იმ პირებით, რომლებიც არიან მომხდარის მომსწრეები (მოსწავლეები, მასწავლებლები, თანაკლასელები ან სხვა შესაბამისი პირები.)

სასკოლო მედიაციის მიზანი:

სასკოლო მედიაციის მიზანია აღდგენითი პროცესის დანერგვა, რაც გულისხმობს კონფლიქტით ან მძიმე ინციდენტით გამოწვეული ზიანის აღდგენას, თანამშრომლობითი და ინდივიდუალური მიდგომით, ასევე ისეთი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა, სადაც მოსწავლეებს და სკოლის ადმინისტრაციას საშუალება ეძლევათ ნაკლები დრო დახარჯონ ქცევით პრობლემებზე და უფრო მეტი რესურსი მიმართული იქნას სასწავლო პროცესზე.

ამისთვის საჭიროა:

1. განისაზღვროს ვინ იქნებიან მედიაციის პროცესში მონაწილე პირები და მათი მოვალეობები და როლები.
2. კონფლიქტზე/ინციდენტზე რეაგირებისთვის ფუნქციების გადანაწილება (კონფლიქტის შემთხვევაში როგორ მოხდება მის შესახებ შტყობინება);
3. სკოლის ადმინისტრაციის, მშობლების და მოსწავლეების ინფორმირება სასკოლო მედიაციის შესახებ;
4. განისაზღვროს მიდგომები იმ შემთხვევებზე რეაგირებისთვის, როდესაც მედიაციის პროცესში სიტუაცია რთულდება.

სასკოლო მედიაციის პრინციპები:

1. მონაწილეობა ნებაყოფლობითია;

2. მოხდეს ურთიერთობების ზედმიწევნით შესწავლა;

3. მოხდეს ზიანის და საჭიროების იდენტიფიცირება და შემდგომ მასზე რეაგირება;

4. კონფლიქტით მიყენებული ზიანის გაცნობიერება და პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივება, რათა არ მოხდეს შემდგომში კონფლიქტის ესკალაცია.

5. ორიენტირებული უნდა იყოს არა მოსწავლეზე, არამედ მის მიერ განხორციელებული ქცევით გამოწვეულ „ზიანზე".

6. მოხდეს ზიანის აღდგენა.

მედიაციის პროცესის განხორციელების პროცედურები:

1. შეხვედრა უნდა იყოს პირისპირ.

2. მედიაციის პროცესი უნდა წარმართოს მედიატორთა წყვილმა (1 აუცილებლად ფსიქოლოგი უნდა იყოს. სასურველია ნეიტრალური, სპეციალურად გადამზადებული პირი)

3. მედიაციაზე შეტყობინებას მედიატორი მიიღებს სკოლის დირექტორისგან ან ბავშვთა უფლებების დაცვის ოფიცრისგან. (მედიატორმა უნდა განსაზღვროს სიტუაცია სამედიაციოა თუ არა.)

4. შეტყობინება უნდა განხორციელდეს იმავე დღეს ან მომხდარიდან ერთ სამუშაო დღეში.

5. მომხდარიდან 2 სამუშაო დღეში დაიგეგმოს მედიაციის პროცესი.

6. მედიაციის პროცესი მთლიანად მოიცავს 10 სამუშაო დღეს (ორივე მხარის ინდივიდუალური გასაუბრება, მედიაციის პროცესისთვის მომზადება, გაერთიანებული შეხვედრა.) გამონაკლის შემთხვევაში პროცესი არ უნდა გადასცილდეს მომხდარიდან 22 სამუშაო დღეს.

7. მედიაციის პროცესი უნდა განხორციელდეს სკოლის ტერიტორიაზე.

8. მედიაციის პროცესს დაესწრებიან კონფლიქტში მონაწილე მოსწავლეების მშობლები/ კანონიერი წარმომადგენლები. თუ მშობელი ვერ ან არ ესწრება პროცესს მოსწავლის მხარე უნდა წარმოადგინოს ნებისმიერმა ზრდასრულმა პირმა, რომელსაც მოსწავლე მოიაზრებს მხარდამჭერად - მაგ: ბიძა, დეიდა, ბაბუა, მეგობარი და სხვა.

9. მედიაციის პროცესში მონაწილეებთან ინდივიდუალური შეხვედრას შესაძლებელია დაეთმოს რამოდენიმე დღე.

10. თუ მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი პროცესის ხელის შემშლელია მედიატორს უფლება აქვს აუხსნას თუ რატომ არ უნდა მიიღოს მან პროცესში მონაწილეობა. (მაგ: თუ მშობელი ძალიან მგრძნობიარეა მომხდარის მიმართ და აქვს მეორე მხარის მიუღებლობა, თუ გვაქვს ინფორმაცია, რომ პროცესში ჩართული მოსწავლეების მშობლები კონფლიქტში იმყოფებიან, რაც აღდგენით პროცესს საფრთხეს შეუქმნის.)

11. იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანებულ შეხვედრაზე მონაწილე პირები ვერ თანხმდებიან ან შესაძლოა მათ შორის დაიძაბოს ურთიერთობა , პროცესი წყდება და ინიშნება ხელახალი ინდივიდუალური შეხვედრები თითოეულ მონაწილესთან, განმეორებითი გაერთიანებული შეხვედრისთვის. (შეტყობინების შემოსვლიდან პროცესი არ უნდა გასცდეს 22 სამუშაო დღეს.)

12. როდესაც კონფლიქტში მონაწილე მხარეები თანახმა არიან ინდივიდუალურ შეხვედრაზე, მაგრამ ერთერთი მხარე უარს ამბობს დაესწროს გაერთიანებულ შეხვედრას, მედიაციის პროცესი წყდება (მედიატორი კიდევ ერთხელ ინდივიდუალურად ხვდება მოსწავლეს, რათა ეცადოს დააორგანიზოს კონფლიქტში მონაწილე პირების შეხვედრა აღდგენითი პროცესისთვის.)

13. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარე უარს აცხადებს მონაწილეობზე, მედიაციის პროცესი არ შედგება.